საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-316

26/04/2022

ქ. თბილისი

შპს „ჯეომაინინგის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ემ ენ სილვერზე“ გადაცემის შესახებ

2022 წლის 6 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართეს შპს „ჯეომაინინგი+“-ისა და შპს „ემ ენ სილვერის“ დირექტორებმა. შპს „ჯეომაინინგი+“-მა ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ემ ენ სილვერზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ინდ. მეწარმე „ვახტანგ მასხარაშვილის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაცემულია №46 (28.12.2012; ქ. ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი №20) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „ჯეო მაინინგს“. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 27 თებერვალს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-192 ბრძანება „შპს „ჯეომაინინგის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. 2019 წლის 2 აპრილის №2-301 ბრძანებით „შპს „ჯეომაინინგზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ჯეომაინინგი+“-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 თებერვლის №2-192 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ემ ენ სილვერს“;
2. შპს „ემ ენ სილვერმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 თებერვლის №2-192 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჯეომაინინგზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ჯეომაინინგი+“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 აპრილის №2-301 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ემ ენ სილვერსა“ და შპს „ჯეომაინინგი+“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ემ ენ სილვერისა“ და შპს „ჯეომაინინგი+“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი